6809

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ოთხშაბათი 20 აგვისტო 1941 წ. № 196 (6201) ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხალხის სამხედრო სწავლება

დიდი ლენინი გვასწავლიდა: „ომში ის იმარჯვებს, ვისაც მეტი რეზერვები ჰყავს, ვისაც ძალების მეტი წყარო მოეპოვება, ვისაც მეტი სიმტკიცე აქვს ხალხის ღრმა ფენებში“. საბჭოთა ხალხს, საბჭოთა სახელმწიფოს გაცილებით უფრო მეტი რეზერვები ჰყავს, ვიდრე მოწინააღმდეგეს. ჩვენ მოგვეპოვება ძალების ბუმბერაზული წყაროები, ჩვენ გვაქვს ფოლადისებური სიმტკიცე, და რადაც უნდა დაგვიჯდეს ომი, რა მსხვერპლიც უნდა მოითხოვოს მან, ჩვენ გავიმარჯვებთ.

ჩვენ ვიცით, რომ გამარჯვება თავისთავად არ მოდის. იგი უნდა მოვიპოვოთ ყოველგვარი სიძნელის გადალახვით. ომი ხალხებს აიძულებს უკიდურესად დაძაბონ მთელი ძალები, იგი უკიდურეს გაჭირვებას განაცდევინებს მათ. როდესაც საქმე ეხება სამშობლოს ყოფნა-არყოფნას, როდესაც სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მთელი ჩვენი ხალხი მჭიდროდ რაზმავს თავის ძალებს და დახმარებას უწევს თავის გმირ მეომრებს. ფრონტი და ზურგი ერთი აზრით, ერთი სურვილით ცხოვრობენ — გაანადგურონ მტერი!

„ქვეყნიერებაზე ვერცერთი არმია ვერ გაიმარჯვებს, თუ მას მტკიცე ზურგი არ მოეპოვება“ (სტალინი). ჰიტლერის არმიის ზურგს უდიდეს ზიანს აყენებენ წითელი პარტიზანები. რაც უფრო ღრმად იჭრება გერმანიის ჯარი ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე, მით უფრო გაფთრებულ წინააღმდეგობას უწევს მას ადგილობრივი მოსახლეობა.

ამავე დროს დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მტკიცდება წითელი არმიის ზურგი. მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა […]

ვისა და მისი ოლქის მრავალ საწარმოში, მრავალ კოლმეურნეობაში ეწყობა მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა სამხედრო სწავლება. […]

ცა. მოვსპოთ ფაშისტი ქვეწარმავალი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ბილწავს,—ასეთია საბჭოთა ხალხის დევიზი!

ეს ამოცანა მოითხოვს დიდ შე- […]

[…] შეიარაღებული ბრძოლის ხერხებს, რათა მზად იყვნენ იმისათვის, რომ მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგნენ. სამხედრო საქმის დაუფლებას ცდილობს ზურგში მომუშავე მილიონობით ადამიანი, — ხვალინდელი მოლაშქრენი და წითელარმიელები.

ჩვენი ხალხი ისწრაფვის წითელი არმიის მებრძოლ რეზერვებად გადააქციოს საბჭოთა ქვეყნის ადამიანთა უდიდესი რეზერვები. ყველამ, ვისაც შეუძლია იარაღით ბრძოლა, უნდა ისწავლოს მისი ხმარება. ლენინგრადის, მოსკო- […]

[…] თა დაუნდობლად მოსპობას შეუძლია შეაჩეროს საბჭოთა ადამიანების ხოცვა-ჟლეტა, რათა თავით-ფეხამდე შეიარაღებული მტერი ავლაგმოთ, გიჟის პერანგი ჩავაცვათ მას, მოვუსპოთ ხოცვა-ჟლეტისა და ძარცვის უნარი, ჩვენ მას ვუპირისპირებთ შეიარაღებულ ძალას, რომელსაც შეუძლია თავდაყირა დააყენოს მისი ზრახვები, ახლოს არ გააკაროს სახალხო დოვლათს, შემუსროს სისხლისმსმელი ბოროტმოქმედნი. ფაშისტ მჩაგვრელთა მოსპობა მთელი პროგრესიული კაცობრიობის სასიცოცხლო საქმედ იქ- […]

[…] არც ღამით! დაჰკარით მტერს ფრონტზე და მაქსიმალური ზარალი მიაყენეთ მას ზურგში. მოუსპეთ მტერს სურსათი, ფურაჟი და საწვავი, მოსპეთ მისი საომარი მასალა! წაართვით მას სამხედრო ტექნიკა და გამოიყენეთ იგი მტრის წინააღმდეგ.

ამხანაგო მუშებო, გლეხებო, ინტელიგენტებო! ზურგში მუშაობისას, შეიძინეთ სამხედრო ცოდნა, ისწავლეთ ფაშისტების განადგურება და ჟლეტა, მოამზადეთ წითელი არმიის საბრძოლო რეზერვები!

„პრავდის“ მოწინავე, 19/VIII.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 აგვისტოს საღამოს ცნობა

18 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქ. კინგისეპი.

დაზუსტებული ცნობებით 16 აგვისტოს განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებუ- […]

[…] ყუმბარების დასაშენად გაფრინდა კაპიტან ომაკინის ყუმბარმშენთა ესკადრილია. მტრის მანქანებსა და საბჭოთა ავიაციას შორის ბრძოლა საათნახევარს გაგრძელდა და გერმანელთა დამარცხებით დამთავრდა. მას შემდეგ, რაც გერმანიის 16 მანქანა მოსპეს, საბჭოთა ავიაციამ და არტილერიამ […]

[…] დაიცადეს, სანამ გერმანელები დათვრებოდნენ, და შემდეგ თავს დაესხნენ ტანკისტებს. მათ ხელთ იგდეს გერმანელთა ტანკი და მანქანით წამოვიდნენ შარა-გზით აღმოსავლეთისაკენ. როდესაც 5 კილომეტრი გამოიარეს, მათ გერმანელი გუშაგები გამოეხმაურნენ. სერჟანტმა იაშჩენკომ თავი გა- […]

[…] მი დიდი სახელმწიფოს—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის — თანამშრომლობის განვითარებაში ჰიტლერიზმის სრული და საბოლოო განადგურებისათვის. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ კაცობრიობის მოსისხლე მტერი — ჰიტლერი და მისი წყეული ხროვა […]

[…] როცა მანქანამდე თხუთმეტი მეტრი რჩებოდა, ეფრეიტორმა მუხლუხებში შეაგდო ხელყუმბარების კონა. ტანკი გაჩერდა. მეორე მანქანამ სვლა შეანელა. მას ბენზინიანი ბოთლები დაუშინეს. გერმანელებმა 4 ტანკი დაჰკარგეს და იერიში შესწყვიტეს.

* * *

კაპიტან კოვრიჟკოს ქვედანაყოფის მებრძოლები წარმატებით იბრძვიან მტრის ტანკების წინააღმდეგ. ერთ ბრძოლაში კაპიტან კოვრიჟკოს ქვედანაყოფმა მწყობრიდან გამოიყვანა ფაშისტთა 16 ტანკი. თვითონ კაპიტანმა კოვრიჟკომ ამ ერთი დღის განმავლობაში ცეცხლი წაუკიდა ოთხ ტანკს. უმცროსმა ლეიტენანტმა გეუშჩენკომ კი—ორ ტანკს.

ჩრდილოეთის ფრონტის ერთერთ უბანზე თეთრფინელთა გაძლიერებული ბატალიონი ერთიათასზე მეტი ჯარისკაცის შემადგენლობით […]

[…] ნებმა ხელთ იგდეს 30 ვარგისი მოტოციკლი. 11 აგვისტოს პარტიზანთა რაზმის მებრძოლები, ამხ. ლ-ის მეთაურობით, თავს დაესხნენ სოფელ ბ-ს, სადაც განლაგებული იყო ფრონტზე მიმავალ გერმანელ რეზერვისტ ჯარისკაცთა ასეული. გაბედულმა და უეცარმა თავდასხმამ არევ-დარევა შეიტანა ფაშისტთა რიგებში. ბევრმა რეზერვისტმა პირველ გასროლისთანავე დაჰყარა იარაღი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ასეულის თითქმის მთელი იარაღი და საჭურველი. ტყვეთა ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ასეულის პირადი შემადგენლობა არმიაში გაუწვევიათ 18 ივლისს. ჯარისკაცების უმრავლესობა ხანშესული ადამიანებია, რომლებსაც წინათ არმიაში არ უმსახურნიათ.

* * *

პირსისხლიანი ფაშისტების ტერორი მძვინვარებს უკრაინის იმ […]

[…] თა რაზმში 300 კაცი შევიდა.

* * *

გერმანიის სარდლობა ამაოდ ცდილობს აანაზღაუროს ნაჩქარევად მომზადებული შევსებით ის უდიდესი ზარალი, რაც ფაშისტთა ჯარის ნაწილებს მოსდით აღმოსავლეთის ფრონტზე. გერმანიის არმიის ამ ახალი ნაწილების მდგომარეობას მკაფიოდ ახასიათებს ბრძანება „სს“ დივიზიის მე-5 საარტილერიო პოლკის ბატარიისადმი. ბრძანებაში, რომელსაც ხელს აწერს ბატარიის მეთაური ობერშტურმფიურერი პოდინელი, რეზერვისტების მომზადება დახასიათებულია შემდეგნაირად:

„1. ა) სამწყობრო მომზადება ცუდია;

ბ) ადგილ-მდებარეობაში მოქმედების საბრძოლო მომზადება და სასროლო მომზადება ყველას არასაკმაო აქვს;

გ) შინასამსახური: ჯარისკაცის […]

[…] მცხოვრებლებმა იციან, რომ ამას სჩადიან პარტიზანთა რაზმები, რომლებიც უსწორდებიან საზიზღარ გერმანელ დამპყრობლებს. პოლონეთში ანტიფაშისტური მოძრაობა დღითი-დღე იზრდება. ამასწინად პოზნანის მახლობლად ცემენტის ქარხანა მთელ დღეს მოსცდა, რადგან საამქროებში ნაკუწ-ნაკუწად დაჭრილი აღმოჩნდა ყველა ამძრავი ღვედი. სადგურ კელცში ძლიერ დააზიანეს და მწყობრიდან გამოიყვანეს გერმანელთა ჯავშნიანი მატარებელი. პარტიზანებმა ბალასტიანი შემადგენლობა გაუშვეს იმ ლიანდაგზე, სადაც ჯავშნიანი მატარებელი იდგა. კელც-სკაჟისკოს რკინიგზის ხაზზე ხიდი ააფეთქეს. ქალაქ ივანისკაში მთვრალმა ოფიცრებმა რბევა მოაწყეს. შუაღამისას პარტიზანთა რაზმმა ცეცხლი წაუკიდა სახლს, რომელშიც ოფიცრები ცხოვრობდნენ.

19 აგვისტოს დილის ცნობა

[…]

1939 წლის კონფლიქტის რაიონში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და მანჯოუ-გოს შორის საზღვრის დამაზუსტებელი შერეული კომისიის საერთო კომუნიკე

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და მანჯოუ-გოს შორის 1939 წლის კონფლიქტის რაიონში სახელმწიფო საზღვრის დამაზუსტებელი შერეული კომისიის საველე მუშაობა, რაც 1941 წლის 27 ივნისს დაიწყო, წარმატებით მიმდინარეობდა და სავსებით დამთავრდა 1941 წლის 15 აგვისტოს.

ამ მუშაობის დამამთავრებელი სხვადასხვა დოკუმენტების შესადგენად ორივე მხარის რწმუნებულნი შეთანხმდნენ ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ ხარბინში მიმდინარე წლის 22 სექტემბერს.

ხარატ-ულაინ-ობო (პუნქტი საველე მუშაობის რაიონში), 1941 წლის 20 აგვისტო.

საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმა ბერლინის რაიონზე

18 აგვისტოს ღამით, საბჭოთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბერლინის რაიონს. თვითმფრინავებმა ცეცხლგამჩენი და ფუგასური ყუმბარა დააყარეს ბერლინის სამხედრო და სამრეწველო ობიექტებს. ბერლინში ბევრ ადგილას ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

წითელი არმიის უფროსი შემადგენლობისა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულებით გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია წითელი არმიის უფროსი შემადგენლობისა და რიგითი შემადგენლობის პირთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 6 კაცი, წითელი დროშის ორდენით — 24 კაცი, წითელი ვარსკვლავის ორდენით—19 კაცი და მედლით „მამაცობისათვის“— 4 კაცი. (საკდესი).

განვაგრძობთ ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ

სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა რადიოგრამა.

[…]

ვ. ი. ლენინის სამშობლოში

ულიანოვსკი, 15 აგვისტო (საკდესი). […]

ახალგაზრდულ-კომკავშირული კვირაობის დიდი წარმატება

17 აგვისტოს მთელს საბჭოთა კავშირში გაიმართა ახალგაზრდულ-კომკავშირული სრულიად-საკავშირო კვირაობა, რომელიც გადაიქცა საბჭოთა ახალგაზრდობის მგზნებარე პატრიოტიზმის მძლავრ დემონსტრაციად, იმის დემონსტრაციად, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა მზად არის მთელი ძალღონე მოახმაროს პირსისხლიან და ვერაგ მტერზე გამარჯვების საქმეს. ახალგაზრდობის მხარდამხარ მუშაობდნენ მოზრდილნი — მუშები, მოსამსახურენი, ინჟინრები, ტექნიკოსები. კვირაობის მონაწილეებმა 17 აგვისტო შრომის ყოველ დარგში შესანიშნავი რეკორდების დამყარების დღედ გადააქციეს.

წინასწარი ცნობებით, მარტო მოსკოვში კვირაობაში მონაწილეობას იღებდა 600 ათასზე მეტი კაცი.

ხარკოვში კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 150 ათასზე მეტმა კაცმა. მთელი თავიანთი გამომუშავება, რაც მილიონ მანეთს აღემატება, მათ სამშობლოს თავდაცვის ფონდს გადასცეს.

სტალინის ოლქში ახალგაზრდულ-კომკავშირულ კვირაობაში მონაწილეობას იღებდა 400 ათასზე მეტი კაცი, ჩიტის ოლქში — 45 ათასზე მეტი კაცი, ივანოვოში — დაახლოებით 10 ათასი კაცი და სხვ.

ლენინგრადში კვირაობის დროს ახალგაზრდობა მუშაობდა არა მარტო საწარმოებში, არამედ კოლმეურნეობებშიაც.

17 აგვისტო (საკდესი).

მტკიცდება თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა მძლავრი ფრონტი

ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოში მხურვალედ იხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის პირად მიმართვას ამხანაგ სტალინისადმი.

— მოსკოვში სამი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის ინიციატივას მთელი ჩვენი ხალხი იწონებს. იგი მოწმობს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი მძლავრი ძალების შემდგომს მჭიდროდ დარაზმვას, — განაცხადა მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ ამწყობმა ამხ. ნოვიკოვმა.

როგორც კი მიღებული იქნა ახალი გაზეთები, სადაც დაბეჭდილი იყო რუზველტისა და ჩერჩილის მიმართვის ტექსტი, დონბასში ტრესტ „კუიბიშევუგოლის“ გორკის სახელობის შახტში სტიქიური მიტინგი გაიმართა. მაღაროელნი ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში სიტყვას აძლევენ საბჭოთა მთავრობას, რომ მზად არიან ძალღონის დაუზოგავად იბრძოლონ საზიზღარი ფაშისტური ქვეწარმავლის სრულს მოსპობამდე.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის მიერ ამხანაგ სტალინისათვის გამოგზავნილ მიმართვის ტექსტი წაკითხული იქნა მოსკოვის სტალინის სახელობის ქარხნის ყველა საამქროში.

მარყუჟი ჰიტლერის ყელზე სულ უფროდაუფრო ვიწროვდება, — ამბობს სტახანოველი ამხ. კლიუევი, — თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა რკინისებური კავშირი მოსპობს ფაშიზმს. საბჭოთა ხალხი დიდად უმადლის ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს და პირადად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რუზველტსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს იმ დახმარებას, რომელიც მათ განზრახული აქვთ აღმოუჩინონ საბჭოთა კავშირს. სამი მძლავრი სახელმწიფოს ერთობლივი ღონისძიება ბოლოს მოუღებს პირსისხლიანი ჰიტლერიზმის ბოროტმოქმედებას.

17 აგვისტო (საკდესი).

ხალხთა ერთიანი ფრონტი გააცამტვერებს ჰიტლერიზმს

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საამქროებში გულდასმით გაეცნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტის და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის პირად მიმართვას ამხანაგ სტალინისადმი.

ამწყობი საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ვ. მელიქოვმა განაცხადა: სამი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს ფრონტი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ, მათი სამხედრო რესურსების გამოყენება ფაშისტ ბარბაროსთა მოსასპობად აახლოვებს გერმანიის პირსისხლიანი ბანდების საბოლოოდ განადგურებას. თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა ერთიანი ფრონტი დააჩქარებს ფაშისტური გერმანიის მოსპობას.

— საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის რესურსები დიდი და აურაცხელია. ამ სამი სახელმწიფოს თანამშრომლობა იმას ნიშნავს, რომ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე იქნება მიყვანილი. მტერი ცბიერი და ჯერ კიდევ ძლიერია, მაგრამ დიდი სახელმწიფოების ფრონტი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ უზრუნველჰყოფს ჰიტლერული ტირანიის დასამარებას, — სთქვა ზეინკალმა ამხ. ა. გაბინაშვილმა.

ამ დიდი მნიშვნელობის საერთაშორისო-პოლიტიკური დოკუმენტის გაცნობისას აზრი გამოსთქვეს და საწარმოო ვალდებულებები აიღეს აგრეთვე ოსტატმა ამხ. პ. ფრანგიშვილმა, ზეინკალმა ი. ჰონიაშვილმა, ვ. გაბუნიამ, ლ. პაპინაშვილმა და სხვ.

გავანადგუროთ პირსისხლიანი ფაშიზმი

19 აგვისტოს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის აგიტატორებმა საუბარი ჩაატარეს ამხანაგ სტალინისადმი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტის და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის პირადი მიმართვის შესახებ.

ორი დიდი სახელმწიფოს—ამერიკისა და ინგლისის მთავრობის მეთაურთა გადაწყვეტილებას, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად გააჩაღონ ბრძოლა ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ—ფაბრიკის მუშები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

საქსოვი საამქროს სტახანოველმა გულნარა მელიქაძემ მთელი ფაბრიკის კოლექტივის აზრი გამოხატა, როცა განაცხადა: ჰიტლერის გერმანიის დასასრული ახლოვდება. საბჭოთა ქვეყნის ხალხების, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული ძალები ძირფესვიანად აღმოფხვრიან კაცობრიობის დაუძინებელ მტრებს—პირსისხლიან ფაშისტებს.

მოსამზადებელი საამქროს სტახანოველმა ნადია ზეთანელმა სთქვა: უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბები, რომლებიც ახლა ხდება, გვავალებს ყოველმხრივ ვიზრუნოთ ფრონტის ინტერესებისათვის და გავუმაგროთ ზურგი წითელ არმიას, ვიმუშაოთ ყველა შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება.

გავათავისუფლოთ კაცობრიობა ნაცისტური ტირანიისაგან

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის აგიტატორებმა ამხ. ივ. კასრაძემ, ბერეზნერმა, სმირნოვმა და სხვ. 18 და 19 აგვისტოს მუშა-მოსამსახურეებს ფართოდ გააცნეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის მიერ ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი პირადი მიმართვა.

ცალკე საამქროებსა და ცვლებში მუშა-მოსამსახურენი დიდი ინტერესით უსმენდნენ აგიტატორებს და ხაზგასმით აღნიშნავდნენ სამი დიდი სახელმწიფოს თანამშრომლობაში ახალი ეტაპის დიდ მნიშვნელობას. ფაბრიკის მთელი კოლექტივი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, რომ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი მზად არიან დახმარება გაუწიონ ჩვენ დიად ქვეყანას.

— ეს მიმართვა უზრუნველჰყოფს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მჭიდროდ დარაზმვას, თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა ერთიანი ფრონტის განმტკიცებას. სულ უფროდაუფრო ახლოვდება ჟამი ნაცისტური ტირანიისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისა. პირსისხლიანი ფაშისტი-ბარბაროსები სამუდამოდ უნდა მოისპონ. ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის, — განაცხადა დამტენი საამქროს მექანიკოსმა ამხ. ავაქოვმა.

მოვსპოთ ფაშისტი-ბარბაროსები

თბილისის კიროვის რაიონის ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის პირად მიმართვას ამხანაგ სტალინისადმი. მშრომელნი მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ ამბავს.

თბილისის ტყავის № 1 ქარხნის სათრიმლავი საამქროს ორდენოსანმა სტახანოველმა ამხ. ა. ტატუაშვილმა განაცხადა, რომ სამი სახელმწიფოს გაერთიანებული ძალებით ბრძოლა ჰიტლერელთა ბანდების წინააღმდეგ უზრუნველჰყოფს გერმანიის ფაშიზმის საბოლოო განადგურებას.

— პირსისხლიანი ფაშიზმის აღსასრულის ჟამი სულ უფროდაუფრო ახლოვდება. საბჭოთა ხალხები დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებთან ერთად შეერთებული ძალით გააცამტვერებენ ფაშისტ-ბარბაროსებს, — განაცხადა თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის სტახანოველმა ამხ. ევ. ტრეტიაკოვამ.

თავდაცვის ფონდი

საქართველოს მშრომელები აძლიერებენ თავდაცვის ფონდს

ქუთაისის მშრომელებს თავდაცვის ფონდში 18 აგვისტოსათვის შეტანილი ჰქონდათ 848.841 მანეთი; აქედან 94.882 მანეთი ნაღდად, 117.959 მანეთი გადარიცხვით და 636.000 მანეთის ობლიგაციები.

ექიმმა ზვიადაძემ თავდაცვის ფონდში შეიტანა ოქროს 20 გრამიანი სამაჯური. მედიცინის მუშაკებმა ამხ. გიორგაძემ, დანელიამ და სხვ.—ორ-ორი კვირის ხელფასი.

* * *

გორი („კომუნისტის“ კორ.). 18 აგვისტოსათვის გორის რაიონის მშრომელებს თავდაცვის ფონდში შეტანილი ჰქონდათ 42.101 მანეთი ნაღდ ფულად და 306 ათასი მანეთის ობლიგაციები.

კოლმეურნეებს თავდაცვის ფონდში შეაქვთ პროდუქტები. ნადარბაზევის, ქვემო სობისის და ქვემო ახალსოფლის კოლმეურნეობების წევრებმა შეიტანეს 2.721 კილოგრამი მარცვლეული, ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობის წევრებმა — 63 კილოგრამი ხორცი და 7 კილოგრამი ერბო, სოფ. ოხერას კოლმეურნეობის წევრებმა—3.000 კილოგრამი ვაშლი და ატამი, ატენის კოლმეურნეობის წევრებმა—24 კილოგრამი ყველი და 25 ფრთა ქათამი, ტყვიავისა და ტინისხიდის კოლმეურნეობის წევრებმა—15 კილოგრამი ერბო.

* * *

საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა შეიტანეს 33.850 მანეთი ნაღდი ფული, 78.715 მანეთის ობლიგაციები, 7,7 გრამი ოქრო, 1.340 გრამი ვერცხლი, კოლმეურნეებმა 63 ტონა ხორბალი და 72 ტონა ბოსტნეული. რაიონის კოლმეურნეებს ყოველთვიურად შეაქვთ ორ-ორი შრომადღის ღირებულება.

სამომხმარებლო კოოპერაციის მეპაიეებს შეაქვთ კუთვნილი ანარიცხები

თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნამ აქტიური გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო კოოპერაციის მეპაიეთა შორისაც. იაროსლავლის ოლქის სასოფლო კოოპერატივების მეპაიეებმა წამოაყენეს წინადადება თავდაცვის ფონდში მოგებიდან კუთვნილი 20-პროცენტიანი ანარიცხის გადარიცხვის შესახებ.

იაროსლავლის ოლქის სასოფლო კოოპერაციის მეპაიეთა ინიციატივას საქართველოში პირველნი გამოეხმაურნენ ლუქსემბურგის სასოფლო კოოპერატივების მეპაიენი. მეპაიეთა საერთო კრებამ, რომლის პრეზიდიუმშიც არჩეული იყვნენ: ამხ. გ. რაიზერი, ბედბენოვი, პ. რებერი, ედანოვა და ე. მაიერი (კრებას დაესწრო 1.210 კაცი), გადასწყვიტა თავდაცვის ფონდში გადაირიცხოს 1940 წლის მოგებიდან მეპაიეთა კუთვნილი 20-პროცენტიანი ანარიცხი—40.000 მანეთის რაოდენობით.

* * *

იაროსლაველთა ინიციატივას გამოეხმაურნენ აგრეთვე ახალციხის სასოფლო კოოპერატივის მეპაიენი, რომელთაც 1940 წლის მოგებიდან კუთვნილი 20-პროცენტიანი ანარიცხის სახით თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 35.044 მანეთი.

ამხანაგ სტალინისადმი რუზველტისა და ჩერჩილის მიმართვაზე გამოხმაურება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო (საკდესი). საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ნიუ-იორკის ორგანიზაციამ რეზოლუცია მიიღო, რომელშიც სავსებით უჭერს მხარს ამხანაგ სტალინისადმი რუზველტისა და ჩერჩილის მიმართვას. „ჩვენი აზრით, ეს მიმართვა, — ნათქვამია რეზოლუციაში, — დიდ როლს შეასრულებს ფაშიზმზე გამარჯვების მოსაპოვებლად. დაუყოვნებლივი მატერიალური დახმარების აღმოჩენის დაპირება, აგრეთვე განზრახული თათბირი მოსკოვში იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნას ერთობლივი თანამშრომლობის ხანგრძლივი პოლიტიკის პროგრამა, იმ მომავლის პერსპექტივას იძლევა, რომელსაც მიესალმება ყველა, ვინც ჭეშმარიტ დემოკრატიულ შეხედულებებს იზიარებს“.

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ჰოპკინსის მიერ გამართულ საუზმეზე იყო ინგლისის სამხედრო მომარაგების მინისტრი ბივერბრუკი. ავტორიტეტული წრეები წინასწარმეტყველებენ, ჰოპკინსი იკისრებს უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირში საომარი მასალის სწრაფად შეტანაო.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ სწერს: რუზველტისა და ჩერჩილის წინადადება საბჭოთა კავშირისათვის „უაღრესად მაქსიმალური“ დახმარების შესახებ რეალური განძია მთელი მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა მთავარი მიზნის — ნაცისტური ბატონობის უღლისაგან ევროპის განთავისუფლების საქმეში. რუსი ხალხი უკვე ბრწყინვალედ თანამშრომლობს ამ მიზნის განხორციელების საქმეში და იგი ღირსია ყოველგვარი მატერიალური დახმარებისა, რაც კი შეუძლიათ აღმოუჩინონ მას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა იმისათვის, რომ შეუპოვარ ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ საერთო მტერს.

ინგლისის სამხედრო მინისტრის გამოსვლა

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). ინგლისის სამხედრო მინისტრმა მარჯესონმა ნიუკასლში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ კრეტიდან, სირიიდან და ლიბიიდან საომარი მოქმედების საბჭოთა ასპარეზზე გადატანამ უძლიერესი გავლენა მოახდინა ინგლისელი ხალხის დამოკიდებულებაზე ომისადმი. წარმოიშვა, სთქვა მარჯესონმა, დიდი აღტაცების გრძნობა ჩვენი რუსი მეგობრების ჩინებული ბრძოლის გამო, ისინი უნარიანი აღმოჩნდნენ პირველად დაეპირისპირებინათ გერმანელთა არმიებისათვის მძლავრი წინააღმდეგობა ხმელეთზე. ჩვენ ყველამ ვიცით რუსი ჯარისკაცის მაღალი თვისებანი. ჩვენ ყველას გვესმოდა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ხელახლა შეიარაღდა რუსეთის არმიები, მაგრამ ჩვენ, შესაძლოა, ჯეროვნად ვერ შევაფასეთ ამ ხელახალი შეიარაღებისა და რეორგანიზაციის მასშტაბი. ამჟამად ჩვენ ამაში დავრწმუნდით. გერმანელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ ცოცხალი ძალების, სამხედრო საჭურვლისა და ავიაციის მხრით და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ძლიერ დაეცა მათი საბრძოლო სულისკვეთება; მათი სამხედრო მანქანა, უეჭველია, დიდად გამოიფიტა. მე არა მგონია გერმანელები თავს დასხმოდნენ რუსეთს, მათ რომ სცოდნოდათ რა მედგარ და გადამწყვეტ წინააღმდეგობას გაუწევდნენ ისინი. როდესაც რუსები იძულებული არიან ტერიტორია დასთმონ, მაშინ წასვლისას ისინი სწვავენ და სპობენ აბსოლუტურად ყველაფერს. ჩვენ მივესალმებით ამ მამაც ვაჟებსა და ქალებს იმისათვის, რომ ისინი მზად არიან გასწირონ ყველაფერი—სიცოცხლე, სახლ-კარი, სოფელი, ჰირნახული. მათ არაფერი არ ენანებათ, ყველაფერს ბრძოლაში იყენებენ გამარჯვების მისაღწევად. გერმანელები სჩივიან—„გადამწვარი მიწის“ ეს ტაქტიკა წესებს არ შეესაბამებაო. რა უდიდესი უტიფრობაა იმათ მხრივ, ვინც ყუმბარა დაუშინა ღია ქალაქ როტერდამს, ვინც ხოცავდა და აწამებდა ათასობით ტყვე პოლონელს, ვინც უამრავი ფრანგი და ბელგიელი მონებივით შეჰყარა გერმანიის ქარხნებში! ვის გაუგონია ოდესმე ისეთი გერმანელი, რომელიც წესისამებრ იქცეოდეს? მათ ისიც-კი არ ესმით თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა.

შესვენება, რომელიც ჩვენ მოგვცა გერმანელთა არმიებისადმი გაწეულმა ამ წინააღმდეგობამ,—განაგრძო მარჯესონმა,—შეიძლება წარმოადგენდეს მოსაბრუნ პუნქტს ახლანდელ მსოფლიო ბრძოლაში. გერმანიის არმიები ჯერ კიდევ ძლიერნი არიან. მაგრამ ფაქტი რჩება, რომ მათ მიერ რუსეთში წამოწყებულმა ავანტიურამ შეშფოთებული განწყობილება შექმნა არა მარტო გერმანელ ჯარისკაცთა შორის, არამედ და ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, თვით გერმანელ ხალხშიც. ეს განწყობილება ძლიერდება მტრული დამოკიდებულების გამო, რასაც გერმანელები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხვდებიან. ეს განწყობილება ვრცელდება წყალქვეშა ნავების ეკიპაჟებშიც, გერმანიის წყალქვეშა ფლოტის მძიმე ზარალი ამ განწყობილებას აძლიერებს. ეს განწყობილება შეიძლება შევამჩნიოთ გერმანელ სამხედრო ტყვეთა შორის, რომლებიც ინგლისის საკონცენტრაციო ბანაკებში არიან. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთზე თავდასხმის ცნობამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელ ჯარისკაცებზე. რუსეთის ფრონტზე ტყვედ წაყვანილი გერმანელები ამბობდნენ: ჩვენ არც კი ვიცოდით, ვისთან მოგველოდა ბრძოლა, სანამ რუსებს არ შევხვდით, და ეს მათ ყველაზე ნაკლებ სურდათ.

მარჯესონმა თავის სიტყვაში გააკრიტიკა ის პირნი, რომლებიც ჰფიქრობენ—საბჭოთა არმიის მხრივ ჩინებული წინააღმდეგობის გამო შეგვიძლია „განზე დავრჩეთ და შევასუსტოთ ღონისძიებანი იმ ვარაუდით, რომ ომი შესაძლებელია მოგებულ იქნას აღმოსავლეთშიო“ და რომ ინგლისის საქმე ის არის, რომ კუნძული შეინარჩუნოს და არ წააგოს ატლანტიკისათვის წარმოებული ომი. მარჯესონმა აღნიშნა, რომ ასეთ თვალსაზრისს სერიოზული საფრთხე მოსდევს.—ჩვენ,—სთქვა მან,—ჩვენი საქმისა და ჩვენი ქვეყნის მოღალატენი ვიქნებოდით, თუნდაც გულში გაგვევლო, რომ ომს ჩვენ მაგიერად ვინმე სხვა მოიგებს. მარჯესონმა ინგლისის ახლო აღმოსავლეთის არმიას, რომელსაც გენერალი ოკინლეკი სარდლობს, მოუწოდა—არ შეანელოს თავისი ღონისძიებანი და მზად იყოს.

სასოწარკვეთილებისა და პესიმიზმის განწყობილება გერმანიაში

სტოკჰოლმი, 18 აგვისტო (საკდესი). ერთმა გამოჩენილმა პირმა, რომელიც ამას წინათ ჩამოვიდა გერმანიიდან, განაცხადა, რომ გერმანიაში მდგომარეობა სულ უფროდაუფრო დაძაბული ხდება. სულ უფროდაუფრო შესამჩნევი ხდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენების უარყოფითი დამოკიდებულება სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისადმი. მოსახლეობაზე ცუდ გავლენას ახდენს გერმანიის არმიის უდიდესი ზარალი. ივლისის დამლევს მიუნხენში მარტო ერთი დღის განმავლობაში 170 დეპეშა მიიღეს, რომლებითაც მიუნხენელ მოქალაქეებს აცნობებენ მათი ნათესავების დაღუპვას ფრონტზე. ბევრი მშობელი, რომელთა შვილებიც ფრონტზე იმყოფებიან, აცხადებენ: „ჩვენ უკვე აღარ ველით ჩვენს შვილებს“. ფრონტიდან ჩამოსული დაჭრილები ამბობენ, რომ შეტევის დროს გერმანელი ოფიცრები ტყვიებით უმასპინძლდებიან იმ ჯარისკაცებს, რომლებიც მერყეობას იჩენენ. ხალხი არ უჯერის გერმანიის მთავარი სარდლობის ყალბ ცნობებს. მეტისმეტად გაუარესდა მოსახლეობის მომარაგება ფართო მოხმარების საგნებითა და საკვები პროდუქტებით. ტალონებით პროდუქტების შოვნას რამდენიმე დღე სჭირდება, განსაკუთრებით მკვეთრად განიცდიან ხორცის ნაკლებობას. არავინ უჯერის გებელსის ყალბ პროპაგანდას. ნაციონალ-სოციალისტთა წრეებშიაც კი უნდობლობით ეკიდებიან ჰიტლერს.

სულ უფროდაუფრო ხშირად გაიგონებთ ასეთ ლაპარაკს: „რისთვის დავიწყეთ ეს ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ“. სსრ კავშირის პოპულარობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ხალხში დამარცხების განწყობილება მატულობს. ამ განწყობილების აზრი შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ: მარტო ჰიტლერის განადგურებას შეუძლია იხსნას გერმანია ნაციონალ-სოციალისტთა ბატონობისა და კატასტროფისაგან.

ფაშისტთა მეთაურები „ბლიცკრიგის“ ჩაშლას აღიარებენ

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). სსრ კავშირის წინააღმდეგ „ელვისებური“ ომის ჰიტლერული გეგმის ჩაშლასთან დაკავშირებით, იტალიაში უფრო ხშირდება გამოსვლები, რომელთა მიზანია მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი იმისათვის, რომ ომი გაჭიანურდება. მაგალითად, რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, იტალიის განათლების მინისტრმა ბოტაიმ გაზეთ „კრიტიკა სოჩიალეში“ განაცხადა, რომ „უნდა გავავრცელოთ ის აზრი, რომ ომი შეიძლება ათ წელს გაგრძელდესო“. ბოტაი იტალიელებს ურჩევს ემზადონ ხანგრძლივი ომისათვის. ასეთ აზრს იზიარებენ „ტელეგრაფო“ და იტალიის სხვა გაზეთებიც.

ხმები გერმანიის ყოფილი მოსკოველი სამხედრო ატაშეს დახვრეტის შესახებ

ციურიხი, 18 აგვისტო (საკდესი). ბერლინიდან მიღებული ცნობების თანახმად, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მდგომარეობის შესახებ არასწორი ინფორმაციისათვის ამ დღეებში გერმანიის ხელმძღვანელთა ბრძანებით დახვრიტეს გერმანიის ყოფილი მოსკოველი სამხედრო ატაშე.

ინგლის-გერმანიის ომი ჰაერში

ლონდონი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ დღისით ინგლისის ავიაცია ორჯერ დაესხა თავს ჩრდილოეთ საფრანგეთს. ბომბარდირებულ იქნა რკინიგზის ხაზები და აეროდრომები სენტ-ომერის მახლობლად. ამ ოპერაციების დროს მოსპობილ იქნა მტრის 19 ავიაგამანადგურებელი. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ბრესტის დოკები.

16 აგვისტოს ღამით ინგლისის ყუმბარმშენთა შენაერთები თავს დაესხნენ რურსა და რაინის ოლქს.

მტრის რამდენიმე თვითმფრინავმა ამავ ღამეს ყუმბარები ჩამოჰყარა აღმოსავლეთ ინგლისსა და შოტლანდიაში. ერთ-ერთ პუნქტში იყო მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

ოფიციალური ცნობებით, უკანასკნელი ოთხი კვირის განმავლობაში ინგლისს თავს დაესხა გერმანიის სულ ცოტა 300 თვითმფრინავი. ეს გაცილებით უფრო ნაკლებია ინგლისის იმ ყუმბარმშენთა რაოდენობაზე, რომელნიც მარტო 14 აგვისტოს ღამით იღებდნენ მონაწილეობას გერმანიაზე თავდასხმაში.

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 18 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 17 აგვისტოს ჩრდილოეთ საფრანგეთზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის დროს ჩამოგდებულია გერმანიის 7 ავიაგამანადგურებელი. ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 2 ავიაგამანადგურებელი და ერთი ყუმბარმშენი. 17 აგვისტოს ნაშუადღევს ყუმბარმშენებმა „ბოფორტმა“, ავიაგამანადგურებლების თანხლებით იერიში მიიტანეს მტრის ტანკერზე, რომელიც ლა-მანშით მიდიოდა ლე ტუკეს მახლობლად. ტორპედი ტანკერის წინა ნაწილს მოხვდა.

17 აგვისტოს ღამით ინგლისის ტერიტორიაზე გამოჩნდა გერმანიის თვითმფრინავთა მცირე რაოდენობა. ერთერთი მათგანი ჩამოგდებულია. ბომბარდირებულ იქნა ზოგიერთი პუნქტი ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, აგრეთვე ერთი ქალაქი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ბომბარდირებამ ერთგვარი ზარალი გამოიწვია. მსხვერპლი დიდი არ არის.

ლონდონში მიღებული ცნობების თანახმად, 17 აგვისტოს ღამით ინგლისის ავიაცია კვლავ დაესხა თავს დასავლეთი და ჩრდილოეთ-დასავლეთი გერმანიის ობიექტებს.

დე გოლის გამოსვლა

ლონდონი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 15 აგვისტოს სიტყვა წარმოსთქვა თავისუფალ ფრანგთა ხელმძღვანელმა გენერალმა დე გოლმა, რომელმაც პასუხი გასცა პეტენის გამოსვლას.

— ხმელთაშუა ზღვის ამ ნაპირიდან, — განაცხადა დე გოლმა, — ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს დაპირებას ვემსახუროთ საფრანგეთს და გავათავისუფლოთ იგი. თავისუფალ საფრანგეთს კაპიტულაცია არ მოუხდენია და იგი უარჰყოფს გერმანიასთან თანამშრომლობის პოლიტიკას. დადგება დრო, როდესაც გერმანელებს, რომლებმაც საფრანგეთი გაანადგურეს, სამაგიეროს მივუზღავთ.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ვეიგანისა და საფრანგეთის კაბინეტის უთანხმოების შესახებ

ნიუ-იორკი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, საფრანგეთის მაღალი თანამდებობის პირთა წრის განცხადებით, ვეიგანმა ვიშიში უკანასკნელად ყოფნის დროს უარი სთქვა დათანხმებულიყო საფრანგეთის ჩრდილოეთ-აფრიკის ტერიტორიის რაიმე გაყოფაზე ანდა გერმანიისათვის ჩრდილოეთ-აფრიკისა და ატლანტის საჰაერო ბაზების დათმობაზე.

ფიქრობენ, რომ თუ ვიში გერმანიას ბაზებს დაუთმობს, ვეიგანი კავშირს გასწყვეტს საფრანგეთის მთავრობასთან.

ნორვეგიელი ხალხის წინააღმდეგობა გერმანელი ოკუპანტებისადმი

სტოკჰოლმი (საკდესი). შვედური ჟურნალი „ნიუ“ ნორვეგიაში არსებულ მდგომარეობას ეხება და სწერს: „გერმანელებისადმი წინააღმდეგობა დღითი-დღე ძლიერდება. ხალხის ნაციონალური თვითშეგნება არასოდეს არა ყოფილა ისე ძლიერ განვითარებული, როგორც ახლა. რადგანაც გერმანელებმა ვერ მოახერხეს ნორვეგიელებში ფაშიზმის დანერგვა, ისინი იძულებული გახდნენ სხვა მეთოდებისათვის მიემართნათ. ამ ბოლო დროს ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააძლიერეს საზოგადოებრივ და პროფესიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების დაპატიმრება იმ იმედით, რომ ამ ორგანიზაციების რიგითი წევრები კვისლინგის ფაშისტურ პარტიას შეუერთდებიან. მაგრამ გერმანიის ხელისუფალთა ეს მანევრი მარცხით დამთავრდა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოღვაწეობას განაგრძობენ.

გააფთრებული პროპაგანდის მიუხედავად, სსრ კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად მოხალისეთა შეგროვების კამპანია ჩაიშალა. ნორვეგიის ყველა გაზეთს მითითება მიეცა უფასოდ, თვალსაჩინო ადგილზე ჰბეჭდოს მოწოდებანი ნორვეგიელთა ლეგიონის შექმნის შესახებ და ყოველ ნომერში მოათავსოს სტატია თემაზე: „ბოლშევიზმთან ბრძოლა“. მაგრამ ეს საქმეს არა შველის. ჯარში არავინ ეწერება. კვისლინგელებიც კი უფრთხილდებიან თავიანთ ტყავს. ბერგენში გაძლიერებული პროპაგანდის შემდეგ 7 კაცის შეგროვება მოახერხეს. მაგრამ დამახასიათებელია, რომ ქალაქის არცერთი ექიმი არ დასთანხმდა მოეხდინა „მოხალისეთა“ საექიმო შემოწმება.

ლონდონში მყოფმა ნორვეგიის მთავრობამ მოწოდებით მიმართა ნორვეგიელ ხალხს არ გამოვიდეს გერმანიის მხარეზე სსრ კავშირის წინააღმდეგ. ის, ვინც გამოვა,—ნათქვამია მოწოდებაში,—ნორვეგიის ჭეშმარიტი ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედებს.

ნორვეგიიდან ახალგაზრდობის ინგლისში გაქცევამ ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ გერმანელები იძულებული გახდნენ მძევლები დაეჭირათ რაიონებში, სადაც განსაკუთრებით ძლიერ განვითარებულია ახალგაზრდობის გაქცევა. ბოლოსდაბოლოს გერმანელებმა ვერავითარი სხვა გამოსავალი ვერ იპოვეს და მთელ ნორვეგიაში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა“.

ამ ცოტა ხნის წინათ ნორვეგიის 43 პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გერმანიის კომისარს ტერბოვენს მიმართა წერილით, სადაც ჩამოყალიბებულია პროფკავშირთა მოთხოვნები. ტერბოვენთან გამოცხადდა პროფკავშირთა გაერთიანების დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა მუშებისათვის ხელფასის გადიდება და პროფკავშირთა დაპატიმრებული მოღვაწეების გათავისუფლება. რადგან ჩრდილოეთ ნორვეგიაში პროფკავშირთა ცნობილი მოღვაწის გუნარ ბრატჰენის დაპატიმრებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებში. ამის პასუხად ტერბოვენმა განაცხადა: „გესტაპოს უფროსი შესძლებს შესწყვიტოს გაფიცვები და მღელვარება, რაც ამ ბოლო დროს საწარმოებში ხდება“.

უცხოეთის გამოხმაურება მოსკოვში გამართულ სრულიად-სლავური მიტინგის გამო

ბერნი (საკდესი). ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში დიდ ინტერესს იწვევს გერმანელების მიერ ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზე სადღაც მოქმედი საიდუმლო პოლონური რადიოსადგურის გადაცემა. ამ ბოლო დროს ეს გადაცემა უმთავრესად მიძღვნილია საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმებისა და მოსკოვში გამართულ სრულიად-სლავური მიტინგის გამოხმაურებისადმი პოლონეთში. მოჰყავთ მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ პოლონელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ზრდას და სხვადასხვა ფარული პატრიოტული ორგანიზაციისა და პარტიზანული რაზმების აქტივიზაციას. სადგურმა გადმოსცა, რომ 14 აგვისტოს კრაკოვის სახლების კედლებზე, ვიტრინებსა და ალაყაფის კარებზე გაკრული იყო ფურცლები საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების სრული ტექსტითურთ, აგრეთვე სრულიად-სლავური მიტინგის მოწოდება. დილით პოლიციელები აქეთ-იქით აწყდებოდნენ ქალაქში და გულდასმით სპობდნენ ფურცლებს. მაგრამ მეორე ღამეს ფურცლები ისევ გაჩნდა. ჩენსტოხოვის ერთერთ კათოლიკურ ეკლესიაში წირვის შემდეგ ერთმა უცნობმა სტუდენტმა მლოცველებს აცნობა სრულიად-სლავური მიტინგის შესახებ. სტუდენტის გამოსვლას ოვაციითა და შეძახილებით შეხვდნენ: „პოლონეთი სცოცხლობს!“, „პოლონეთი თავისუფალი იქნება!“, „გაუმარჯოს სრულიად-სლავურ მეგობრობას!“, „გაუმარჯოს სსრ კავშირს!“. გერმანელთა პოლიციამ სცადა სტუდენტის დაპატიმრება, მაგრამ ხალხის დახმარებით იგი მიიმალა. წარმოებებში, განსაკუთრებით რკინიგზებზე გახშირდა საბოტაჟის შემთხვევები. გლეხები სულ უფროდაუფრო ხშირად უწევენ აშკარა წინააღმდეგობას გერმანელთა რაზმებს, რომლებიც სოფლებში მარცვლეულისა და პირუტყვის რეკვიზიციას ახდენენ.

გუშინ რადიოსადგურმა თავისი გადაცემა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „პოლონელი ხალხის გულში კვლავ იმედი ჩაისახა. დაუცხრომელია მისი სიძულვილი წყეული გერმანელი მოძალადეებისადმი. დიდი პოლონელი ხალხი მთელს სლავურ სამყაროსთან ერთად აღსდგება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. იგი გაიმარჯვებს. იგი თავისუფლებას დაიბრუნებს. ჰიტლერელთა ბანდა გასრესილ იქნება.“

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო (საკდესი). ამერიკის პრესამ ფართოდ გამოაქვეყნა სააგენტოების მიერ მოსკოვიდან მიღებული ცნობები, რომლებშიაც მოყვანილია რუსი მწერლის ალექსი ტოლსტოის სიტყვა სრულიად-სლავურ მიტინგზე. სააგენტოების ცნობები ხაზგასმით აღნიშნავენ მოწოდებას სლავური ქვეყნების დამოუკიდებლობის დასაცავად გაერთიანებული მოქმედებისაკენ. გაზეთმა „კრისჩენ საიენს მონიტორმა“ მოათავსა თავის ყოფილ ბალკანელ კორესპონდენტ მარკჰემის სტატია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი მსოფლიოს სლავთა გაერთიანების ცდა „თანაგრძნობის გამოხმაურებას ჰპოვებს სლავური ქვეყნების უმრავლესობაში“. სლავები უდიდესი ჯგუფია ევროპაში, რომლებიც მთელი მოსახლეობის 45 პროცენტს შეადგენენ. სლავურ ქვეყნებს ევროპის ტერიტორიის ნახევარი უჭირავთ. ჰიტლერმა აიძულა ყველა სლავი გაერთიანებულიყვნენ ჩაგრულთა, გაძარცულთა და დამცირებულთა ერთიან ბანაკად. „ილუზია იქნებოდა, სწერს მარკჰემი, — გვეფიქრა, რომ ამ მოწოდებას არ მოუხდენია გავლენა ბულგარეთსა, სლოვაკიასა და ხორვატიაზე იმიტომ, რომ ჰიტლერმა თავისი ბატონობა ისევე მოახვია თავს ამ ქვეყნებს, როგორც თავის სხვა მსხვერპლთ“.

ნოქსის განცხადება

ნიუ-იორკი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა, რომელიც რალეიში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) ისვენებს, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისლანდიას შორის საზღვაო გზების პატრულირება შემოიღეს, იმ გემების ჩაძირვა, რომელთაც მასალები მიაქვთ ინგლისისათვის, სავსებით შესწყდა. ნოქსის სიტყვით, ამ რაიონში ამ უკანასკნელ ხანს არ შეუმჩნევიათ გერმანიისა ან იტალიის არცერთი გემი, არცერთი წყალქვეშა ნავი, ღერძის სახელმწიფოთა არცერთი თვითმფრინავი.

საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის პლენუმი

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მორიგი XII პლენუმი.

პლენუმმა პირველ საკითხად მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ა. შავლაძის საანგარიშო მოხსენება 1940 წლის მარტიდან 1941 წლის აგვისტომდე რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო 6 ამხანაგმა.

აგრეთვე განხილული იქნა საორგანიზაციო საკითხები. პლენუმმა ამხ. ა. შავლაძე გაათავისუფლა რაიკომის მდივნის მოვალეობიდან და პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად ერთხმად აირჩია ამხ. ირაკლი **ლუდუშაური**.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მსუბუქი მრეწველობის დარგში ამხ. კ. ბარიგიანი.

მარგანეცის ამოღების გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ

ჭიათურა (საკდესი). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროებში დღითი-დღე იზრდება საწარმოო გეგმების შესრულების რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის ამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების აგვისტოს პირველი ნახევრის გეგმა. მარგანეცის ამწმენდი პირველი კლასის ოსტატი, ლენინის ორდენით დაჯილდოებული ამხ. კ. ღვთაძე მარგანეცის აწმენდის დღიურ ნორმას ომის დაწყებამდე 180 პროცენტით ასრულებდა, ამჟამად კი გეგმებს 260 პროცენტით ასრულებს. რკინიგზელი ამხ. იობაშვილი, რომელმაც მებიგის თანამდებობა შეითავსა, დღიურ ნორმას 190 პროცენტით ასრულებს.

ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სეზონი

23 აგვისტოს იხსნება ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის 1941-42 წლის სეზონი. პრემიერად ნაჩვენები იქნება ვოლფის პიესა „პროფესორი მამლოკი“. პიესა დადგა ხელოვნების დამსახ. მოღვაწემ რეჟ. გრ. სულიაშვილმა.

მორიგ პრემიერად ნაჩვენები იქნება კ. სიმონოვის პიესა „ბიჭუკი ჩვენი ქალაქიდან“. პიესას დგამს რეჟისორი ს. ოყრეშიძე.

გ. რუხაძე

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. დამკვრელი (ზამთრის) — „მოკრივეები“, **დამკვრელი** (საზაფხულო) — „ბრძოლის კინოკრებული № 1“, **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „ცირკი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ოროილის“ დაღუპვა“, **სპარტაკი** — „მტრის ზურგში“, **ლუქსემბურგის სახ.** — „მეგობრები“, **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — „ჩაპაევი“. **განთიადი** — „ლენინი 1918 წელს“, **26 კომ. სახ.** (საზაფხულო) — „სალავათ იულაევი“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „არსენა“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „კინოკონცერტი“, **მეცნიერება და ცოდნა** — „უმაღლესი ჯილდო“, **საზკვების კავშირის კლუბი** — „სოლოლაკი“, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — „ფრონტელი მეგობარი ქალები“. **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ესპანეთი“.

ლექციები

20 აგვისტოს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) შესდგება პროფ. **ათაბეგოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ფაშისტ კაციჭამიების რასიული თეორია“.**

21 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქ., 5) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“.**

ბილეთების მიღება შეიძლება სალაროში, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო სააგიტაციო პუნქტში და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების რაიონულ სააგიტაციო პუნქტებში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სამშენებლო ტექნიკუმი
უგამოცდოდ იღებს პირველ კურსზე იმ პირთ, რომლებმაც 1941 წელში არასრული საშუალო სკოლა დაამთავრეს.
ტექნიკუმში სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.
თბილისი, საბურთალო, კომბაინის ქ. 46, ტელ. 3-06-23.
346
დირექცია.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება
აცხადებს ახალი კონტინგენტის მიღებას
უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მასწავლებლები, განათლების განყოფილების დახასიათებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, ფრიადოსნები და 1941 წ. საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი დანარჩენები აბარებენ გამოცდებს, რაც ჩატარდება 25-დან 30 აგვისტომდე.
ინსტიტუტის დირექტორი ლ. ჭელიძე.
დაუსწრებელი განყოფილების გამგე ვ. კაპანაძე.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3-62-26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3-06-88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3-81-84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3-80-84; სამხედროსი — 3-57-61; წერილების — 3-73-24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების—3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 18008